# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

# ეროვნული კომისიის

## დადგენილება №25
## 2024 წლის 30 აგვისტო

## ქ. თბილისი

**„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14, მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 168-ე მუხლების და 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილების (სსმ III, №2, 09.01.2006 წ., სარეგისტრაციო კოდი 300.320.000.16.009.007.995) მე-4 მუხლში მოცემულ ცხრილში შევიდეს შემდეგი შინაარსის ცვლილება:

ა) 47-ე პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) 63-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 63 | შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“: | 10.778 | | |
| | ა) 2023 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე | | 35.883<br>(შპს „აკრიანი 2006“-ის ყოფილ სალიცენზიო არეალში 2024 წლის 1 ივლისიდან 2026 წლის 1 იანვრამდე მოქმედებს განაწილების დროებითი ტარიფი – 26.622 თეთრი/კუბ. მეტრი ოდენობით) | 48.244<br>(შპს „აკრიანი 2006“-ის ყოფილ სალიცენზიო არეალში 2024 წლის 1 ივლისიდან 2026 წლის 1 იანვრამდე მოქმედებს ტარიფი – 38.983 თეთრი/კუბ. მეტრი ოდენობით) |
| | ბ) 2026 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 1 იანვრამდე | 10.324 | 26.450 | 38.112 |

“.

**მუხლი 2**

1. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის პირველი ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

| | |
|---|---|
| საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე | დავით ნარმანია |
| კომისიის წევრი | გიორგი ფრუიძე |
| კომისიის წევრი | გიორგი ფანგანი |
| კომისიის წევრი | გივი სანიკიძე |